მინერალური პიგმენტები

რევაზ კაპანაძე, საბა მარკოზაშვილი
revazi.kapanadze137@ens.tsu.edu.ge, sabamarkozashvili71@gmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

პიგმენტები შეიძლება იყოს ორგანული და არაორგანული წარმოშობის. რომელიც თავის მხრივ იყოფა ბუნებრივად და სინთეზურად. მოხსენებაში განხილულია ბუნებრივი მინერალური პიგმენტები.

მინერალური პიგმენტები მინერალების ან ქანების თეთრი ან ფერადი ფხვნილია. მათ ფერს განაპირებებს: რკინა, ქრომი, მანგანუმი, სპილენძი, ნიკელი, ნახშირბადოვანი ნაერთები და სხვ. ქიმიური შედგენილობის მიხედვით პიგმენტებს ყოფენ: კარბონატულ (ცარცი, მალაქიტი, აზურიტი), სილიკატურ (თიხები, გლაუკონიტი, ლაზურიტი და სხვ.), ჟანგეულ და ჰიდრო-ჟანგეულ (ჰემატიტი, მანგანუმის მადნები და სხვ.), სულფატურ (ბარიტი), ნახშირბადოვან ნაერთებად.

მინერალურ პიგმენტებად გამოყენებისას ფხვნილის ფერის გარდა მნიშვნელოვანია მინერალთა სხვა ოპტიკური და მექანიკური თვისებებიც: გამჭვირვალობა, ელვარება, სიმაგრე. მინერალური პიგმენტები საღებავებისგან განსხვავებით პრაქტიკულად უხსნადია გამხსნელებში

საქართველოში გავრცელებული ბუნებრივი პიგმენტების ნედლეულიდან აღსანიშნავია რკინის შემცველი სხვადასხვა ფერის ოხრა, სურინჯი, მუმია, ასევე გლაუკონიტი, ცარცი, კაოლინი, ბარიტი და სინგური.